ეროვნული
ბიბლიოთეკა

Библиотека

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. აპრილის 20 № 10 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

42. სასოფლო-სამეურნეო გადმოსახლების დარგში შეღავათების თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა შეცვლის შესახებ.

43. სელისა და კანაფის ნათესების, წითელი სამყურას სათესლეების გვალვისაგან და ცალკეული სახის სპეციალური და ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გაუქმების შესახებ.

44. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1939 წლის 8 მარტს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში ტრაქტორისტთა გამომუშავების ნორმებისა და შრომის ანაზღაურების თაობაზე მიღებული დადგენილების განხორციელების ღონისძიებების შესახებ.

45. სახელმწიფო თეატრების გადასახადებისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

46. საქართველოს სსრ-ში 1939 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

42. სასოფლო-სამეურნეო გადმოსახლების დარგში შეღავათების თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა შეცვლის შესახებ.

,,იმ მეურნეობათა შეღავათების შესახებ, რომლებიც კოლხიდაში გადმოსახლდებიან'' საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული 1939 წ. 9 თებერვლის დადგენილებასთან (საქ. სსრ კან. კრ. 1939 წ. № 4, მუხ. 20) დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 29 ივლისის დადგენილება ,,კოლხიდაში გადასახლებულთათვის შეღავათების მინიჭების შესახებ'' (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 25, მუხ. 193);

ბ) მუხ. 23 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 4 აგვისტოს დადგენილებისა—,,საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ'' (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192) რომლის მოქმედებაც განგრძობილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 25 ივლისის დადგენილებით (საქ. სსრ კარ. კრ. 1936 წ. № 20, მუხ. 119).

გ) საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 167, 168 და 171 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 22);

დ) მოქმედება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა—,,გადასახლებულთათვის ა/კ სფსრ ბიუჯეტით მისაცემ სესხთა გაცემისა და დაფარვის წესის შესახებ'' (ა. კ. სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 20, მუხ. 193).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 11 აგვისტოს ,,1936 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ'' (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 21, მუხ. 124) გამოცემული დადგენილების 48 მუხლში ამოიშალოს სიტყვები ,,1930 წლის აპრილის 1-ის შემდეგ''.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 21. № 471.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. სელისა და კანაფის ნათესების, წითელი სამყურას სათესლეების გვალვისაგან და ცალკეული სახის სპეციალური და ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გაუქმების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 5 იანვრის დადგენილებისა „გვალვისგან სელისა და კანაფის ნათესების, წითელი სამყურას სათესლეების და მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან სპეციალური და ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ცალკეულ სახეობათა სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გაუქმების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 4, მუხ. 16), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნას 1939 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა:

ა) სელის და კანაფის ნათესებისა და წითელი სამყურას სათესლეებისა გვალვისაგან;

ბ) ცალკეული სახის სპეციალური და ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა (ბამბა, თამბაქო, სოია, კენაფი, აბუსალათინი, არახისი, ქუნჯუთი, რამი და სამხრეთის კანაფი)—მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან.

2. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 4 აგვისტოს დადგენილებაში—„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 24, მუხ. 192), რომლის მოქმედება განგრძობილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 25 ივლისის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 20, მუხ. 119):

ა) „ა" და „ბ" კარის 1 მუხლის პუნქ. „დ" მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „ბამბის, თამბაქოს, სოიას, კანაფის აბუსალათინის, არახისის, ქუნჯუთის, რამის და სამხრეთ კანაფის ნათესები-სტიქიური უბედურებისაგან: დასეტყვისაგან, ნიალვარისაგან, ქარიშხლისაგან, ცეცხლისაგან, გვალვისაგან, დასველებისაგან, დაზრობისაგან, მოყინვისაგან, ჩახურებისა და წყალდიდობისაგან, ხოლო თამბაქოს ნათესი—აგრეთვე თვისების გაუარესებისაგან დასეტყვის ჟამო;

ბ) „ა" და „ბ" კარის 1 მუხლის პუნქტ. „ე" მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „წითელი სამყურას სათესლეები—დაზრობისაგან";

გ) № 4 და № 7 დანართების მე-6 მუხლში სიტყვები „ყველა სტიქიური უბედურებისაგან, მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან" შეიცვალოს სიტყვებით „სტიქიური უბედურებისაგან", რაც აღნიშნულია „ა" და „ბ" კარის 1 მუხლის „დ" პუნქტში;

დ) № 1 დანართის მე-7 და მე-4 მუხლებში სიტყვები „სელისა და კანაფის—გვალვისაგან და წითელი სამყურას სითესლეების—გვალვისა და დაზრობისაგან „შეიცვალოს სიტყვებით „წითელი სამყურას სათესლეები—დაზრობისაგან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მუხ. 8 და დანართი № 5 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „წითელი სამყურას სათესლეების დაზრობისაგან დაზღვევისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ნორმების მიხედვით (ჰექტარიდან) კოლმეურნეობებისათვის—200 მან., კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისათვის—170 მან.";

ვ) მუხ. 19 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„19. სამხრეთის კანაფის—სეტყვისაგან, ნიაღვარისაგან, ქარიშხლისაგან, ცეცხლისაგან, გვალვისაგან, დასველებისაგან, დაზრობისაგან, მოყინვისაგან ჩახურებისაგან და წყალდიდობისაგან, აგრეთვე წითელი სამყურას სათესლეების—დაზრობისაგან დაზღვევისათვის სადაზღვევო გადასახდელი არ გადაიხდევინება".

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 21. № 477.
თბილისი.

---

44. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1939 წლის 8 მარტს სამანქანო სატრაქტორო სადგურებში ტრაქტორისტთა გამომუშავების ნორმებისა და შრომის ანაზღაურების თაობაზე მიღებული დადგენილების განხორციელების ღონისძიებების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 8 მარტის დადგენილებისა „სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში ტრაქტორისტთა გამომუშავების ნორმების და შრომის ანაზღაურების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ, № 17, მუხ. 116) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ტრაქტორებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გამომუშავების სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიხედვით დიფერენცირებული ნორმები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ორი დღის ვადაში დაუგზავნოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს გამომუშავების აღნიშნული ნორმები.

2. დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს ერთი დეკადის ვადაში დააწესონ თითოეული ბრიგადისა და ტრაქტორისტისათვის გამომუშავების დიფერენცირებული ცვლის ნორმები მოხვნის სიღრმის, ნიადაგობრივი განსხვავების, ადგილმდებარეობის რელიეფის, მიწის ნაკვეთების სიდიდის მიხედვით და შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონის გათვალისწინებით, ამასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული ბრიგადებისათვის და ტრაქტორების მარკების მიხედვით გამომუშავების ნორმების დაწესებისას ნება დართულ იქნას გამომუშავების ცვლის ნორმების შემცირება ან გადიდება 10%-მდე იმ ანგარიშით, რომ მთლიანად სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში ნორმები არ იყოს მოცემული სათანადო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაწესებულ ნორმებზე ნაკლები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს არაუგვიანეს 1939 წ. 1 აპრილისა:

ა) მოაწყონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 8 მარტის დადგენილების გულმოდგინედ დამუშავება და დაიყვანონ თითოეულ სატრაქტორო ბრიგადამდე და ტრაქტორისტამდე;

ბ) ცალკეული ბრიგადებისა და ტრაქტორების მიხედვით გამომუშავების დიფერენცირებული ნორმების დასამუშავებლად სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექციასთან მოწვეულ იქნას საწარმოო თათბირები სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა, მოწინავე ტრაქტორისტთა მონაწილეობით და გულმოდგინეთ იქნას განხილული ცალკეული ბრიგადებისა და ტრაქტორისტებისათვის დაწესებული გამომუშავების დიფერენცირებული ნორმები; საწარმოო თათბირზე შემუშავებული ნორმები გაფორმებულ იქნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექციის ბრძანებით;

გ) ერთი დეკადის ვადაში გადასინჯონ სატრაქტორო ბრიგადების შედგენა და უზრუნველჰყონ სატრაქტორო აგრეგატებისა და ტრაქტორების დაკომპლექტება ნიადაგის, რელიეფური პირობების, ნაკვეთების ზომისა და სამინდვრე სამუშაოების ხასიათის მიხედვით იმ ანგარიშით, რომ ამათუიმ კოლმეურნეობაში სამუშაოდ გამოყოფილი სატრაქტორო ბრიგადები, როგორც წესი, დაკომპლექტებულ იქნან იმ კოლმეურნეობათა წევრ ტრაქტორისტებით, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ;

დ) გადასინჯონ აღმრიცხველთა და გამმართველთა შემადგენლობა სატრაქტორო ბრიგადებში და შესცვალონ სუსტი მუშაკები უფრო ძლიერი მუშაკებით; ჩაატარონ 3 დღიანი კურსები-თათბირები სატრაქტორო ბრაგადების აღმრიცხველებისათვის, სატრაქტორო სამუშაოების აღრიცხვის წესის შესახებ, ინსტრუქტაჟის გასაწევად.

დაწესდეს, რომ აღმრიცხველები სატრაქტორო სამუშაოთა აღრიცხვას აწარმოებენ თითოეულ ცვლაში (10 საათისათვის) როგორც რიცხობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ხვნის სიღრმე, თესლის ჩაყრის სიღრმე, გამოთესვის მანძილი, დამუშავების მეტნაკლებობა და ა. შ.). აგრეთვე აწარმოებენ დახარჯული საწვავი და საცხები მასალების აღრიცხვას;

ე) დააწესონ იმის სასტიკი კონტროლი, თუ როგორ მიმდინარეობს შრომა-დღეების დარიცხვა სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებისათვის, სსრ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 8 მარტის დადგენილების შესაბამისად, იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც ისინი კოლმეურნეობებში ასრულებენ.

უზრუნველყოფილ იქნას სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებისათვის წახალისებისა და გადასახდელის ღონისძიებათა განუხრელად განხორციელება.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ორი დეკადის ვადაში შეიმუშაოს ინსტრუქცია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ტრაქტორისტთა გამომუშავების ნორმებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ, რაც დაუგზავნოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და კოლმეურნეობებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 21. № 484.
თბილისი.

---

45. სახელმწიფო თეატრების გადასახადებისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნან ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღებისაგან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში შემავალი ყველა თეატრი, აგრეთვე რაიონული აღმასრულებელ კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისადმი დაქვემდებარებული ყველა თეატრი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 4. № 537.
თბილისი.

---

46. საქართველოს სსრ-ში 1939 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 27 მარტს „1939 წლის მოსავლის თამბაქოს და წეკოს კონტრაქტაციისა და დამზადებს შესახებ“ გამოცემული დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 21, მუხ. 135) შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ-ში 1939 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 15.554 ტონის რაოდენობით, აქედან აფხაზეთის ასსრ-ში 7.773 ტონა და საქართველოს სსრ მეთამბაქოობის სხვა რაიონებში—7.781 ტონა და ეს გეგმა განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1.

2. დამტკიცებულ იქნას 1939 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების შემდეგი გეგმა ასორტიმენტის მიხედვით:

	1 ხარისხი		2 ხარისხი		3 ხარისხი		4 ხარისხი		5 ხარისხი	
	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%
აფხაზეთის ასსრ-ში	38,9	0,5	310,9	4,0	1717,8	22.1	5161,3	66,4	544,1	7.0
საქართველოს სსრ მეთამბაქოობის დანარჩენ რაიონებში	31,1	0,4	194,5	2,5	1245,0	16,0	5376,7	69,1	933,7	12,0

გეგმის განაწილებით ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 2.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს დააწესონ თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმა მეთამბაქოობის ცალკეული რაიონების მიხედვით; მეთამბაქოობის რაიონების ყველა რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოახდინოს ჩაბარების საშუალო რაიონული ნორმებისა და დასაკონტრაქტებელი თამბაქოს ასორტიმენტის დიფერენციაცია ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით, ხოლო ერთპიროვნული მეურნეობათა მიმართ-ცალკეული სასოფლო-საბჭოების მიხედვით, იმ ანგარიშით, რომ ერთპიროვნულ მეურნეობებში ერთი ჰექტარიდან თამბაქოს ჩაბარების ნორმები იყოს კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე 10%-ით მეტი.

4. დაკონტრაქტებული თამბაქოს ერთ ტონაში ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის ოდენობა დაწესებულ იქნას აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის 1700 მანეთი, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენი რაიონებისათვის 980 მანეთი ტრაპიზონის თესლის თამბაქოში და 1216 მანეთი სამსუნის თესლის თამბაქოში.

დაწესებულ იქნას, რომ ერთ ტონა დაკონტრაქტებული თამბაქოსათვის ფულადი ავანსის ნორმები კოლმეურნეობებში უნდა იყოს 30%-ით მეტი, ვიდრე ერთპიროვნულ მეურნეთა ნორმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაადგინოს ფულადი ავანსების ოდენობა ცალკეული რაიონებისა და ბოტანიკური ჯიშების მიხედვით.

საქართველოს სსრ-ში თამბაქოს კონტრაქტანტთა ფულადი ავანსირების საერთო გეგმა განისაზღვროს 20.980.400 მანეთის რაოდენობით, აქედან აფხაზეთის ასსრ-ში 13.214.100 მანეთი.

ფულადი ავანსირების გეგმის რაიონობრივი განაწილება დამტკიცდეს თანახმად დანართისა № 3.

დაწებულ იქნას ფულადი ავანსების გაცემის შემდეგი ვადები საქართველოს სსრ მეთამბაქოობის ყველა რაიონისათვის:

1939 წლის აპრილში—ავანსის საერთო თანხის 20%ხელ შეკრულების ხელმოწერის დროს.

1939 წლის მაისში-ავანსის საერთო თანხის 40%—დასარგავად.

1939 წლის ივლის-აგვისტოში—ავანსის საერთო თანხის 40%—თამბაქოს ასაღებად და დასამუშავებლად.

5. შენარჩუნებულ იქნას 1939 წლისათვის 1938 წელს მომქმედი ხარისხობრივი დასამზადებელი ფასები, ჯილდო—წანამატების გაცემის წესი, საკონტრაქტაციო ფულადი ავანსების დაფარვის პირობები და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა ტექსტი.

6. წინადადება მიეცეს საქთამბაქნედლეულს გაითვალისწინოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში თამბაქოს ჩაბარების შემდეგი ვადები თვეების მიხედვით:

(%%-ით წლიური გეგმის მიმართ).

	1939 წ. ოქტომბერი	1939 წ. ნოემბერი	1939 წ დეკემბერი	1940 წ. იანვარი	1940 წ. თებერვალი	1940 წ. მარტის 15-მდე
საქ. სსრ რაიონებისათვის აფხაზეთის გამოკლებით . . .	15	20	25	20	20	–
აფხაზეთის ასსრ რაიონებისათვის	10	15	20	25	25	5

ნება დაერთოს მეთამბაქოობის რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს მისცენ თამბაქოს ჩაბარების შესახებ დავალებანი სექტემბერში ცალკეულ კოლმეურნეობებს, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან მუშა-ხელით, როგორც თამბაქოს აღებისა და სხვა საშემოდგომო სამუშაოების ჩასატარებლად, ისე თამბაქოს დასახარისხებლად და შესაკვრელად (დიპსარი). ხოლო საქთამბაქნედლეულმა უზრუნველყოს თამბაქოს მიღება იმ კოლმეურნეობებისაგან, ვომლებიც პროდუქციას სექტემბერში აბარებენ.

7. დაევალოს საქთამბაქნედლეულს 1939 წლის 20 აპრილისათვის დაამთავროს თამბაქოს კონტრაქტაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. წინადადება მიეცეს საქთამბაქნედლეულს თამბაქოს დახარისხების და შეკვრის სამუშაოების დაწყებისას გაგზავნოს კოლმეურნეობებში საფერმენტაციო ქარხნების კვალიფიციურ დამხარისხებელთა და მეთამბაქოეთა არა ნაკლებ 50% მაინც, რომლებიც კოლმეურნეობებში ჩაატარებენ თამბაქოს საჩვენებელ დახარისხებასა და შეკვრას.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მეთამბაქოობის ზოგიერთ მსხვილ კოლმეურნეობაში შეისწავლოს თამბაქოს შეკვრის რგოლური მეთოდი, რაც წარმოდგენილია ამხ. მეტაქსას მიერ, ამასთან წინასწარ დააზუსტოს საქთამბაქნედლეულთან და ამხ. მეტაქსასთან ერთად რგოლის თითოეული წევრის შრომის ინდივიდუალური სანარდო ანაზღაურების სისტემა.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ როგორც 1938 წლის პრაქტიკამ დაგვანახვა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მთელ რიგ გადაწყვეტილებათა მიუხედავად, რაიონული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობათა უმრავლესობას საკმაო ყურადღება არ მიუქცევია თამბაქოს გულმოდგინედ დამუშავების ორგანიზაციისათვის, რის შედეგადაც ბევრ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია ასორტიმენტის მიხედვით თამბაქოს ჩაბარების გეგმა, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა კოლმეურნეობათა შემოსავალი.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საქთამბაქნედლეულთან ერთად შეიმუშაოს და ერთი დეკადის ვადაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ თამბაქოს პლანტაციების გულმოდგინედ მოვლას, თამბაქოს ხარისხობრივ დამუშავებას და უმაღლესი ხარისხის თამბაქოს გამოსავლის მნიშვნელოვნად გადიდებას.

11. იმ მიზნით, რომ აგროტექნიკური ხელმძღვანელობა თავმოყრილ იქნას სამიწათმოქმედო ორგანოების გამგებლობაში და ეფექტიურად იქნას გამოყენებული მთელი რაიონული აგროტექნიკური პერსონალი, წინადადება მიეცეს საქთამბაქნედლეულს ერთი დეკადის ვადაში განახორციელოს თავისი აგროპერსონალის გადაცემა რაიონული სამიწათმოქმედო ორგანოებისათვის, ამასთან მისი შენახვის ხარჯების გაწევა დაეკისროს საქთამბაქნედლეულს.

12. წინადადება მიეცეს საქთამბაქნედლეულს თამბაქოს მიღების სეზონის დაწყებამდე მოამზადოს ტექნიკური ბაზა თამბაქოს ნორმალური მიღებისათვის და უზრუნველჰყოს ყველა მიმღები პუნქტი მიმღებთა შემოწმებული და კვალიფიციური კადრებით.

13. დაევალოს საქთამბაქნედლეულს 1939 წლის დამზადების სეზონში ფართოდ დაყენებულ ცდის სახით აწარმოოს მეთამბაქოობის მსხვილ კოლმეურნეობებში თამბაქოს ადგილზე (კოლმეურნეობებში) მიღება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 9. № 591.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

გ ე გ მ ა

საქართველოს სსრ-ში 1939 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადებისა

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	სარგავი ფართობი (ჰექტარ.)	1 ჰექტარიდან თამბაქ. ჩაბარების ნორმა (ცენტნერობ.)	კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა (ტონობ.)
აფხაზეთის ასსრ	11430	6,8	7773,0
აჭარის ასსრ	800	6,7	536,0
ლაგოდეხის	3310	9,7	3211,0
სიღნაღის	1240	7,5	930,0
წითელი წყაროს	170	8,0	136,0
ყვარლის	470	8,2	385,0
გურჯაანის	120	7,0	84,0
ბორჩალოს	2210	8,1	1790,0
ლიუქსემბურგის	550	7,5	424,0
ზუგდიდის	200	6,0	120,0
ჩოხატაურის	300	5,5	165,0
სულ საქართველოს სსრ-ში .	20800	7,48	15554,0
აქედან აფხაზეთის ასსრ-ის გამოკლებით	9370	8,3	7781,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ მ ა

1939 წლის მოსავალის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადებისა ასორტიმენტის მიხედვით.

ავტ. რესპუბლ. და რაიონების დასახელება	თამბაქოს კონტრაქტ. და დამზადების გეგმა (ტონ.)	აქედან									
		1 ხარისხი		2 ხარისხი		3 ხარისხი		4 ხარისხი		5 ხარისხი	
		ტონ.	%	ტონ.	%	ტონ.	%	ტონ.	%	ტონ.	%
აფხაზეთის ასსრ	7773,0	38,9	0,5	310,9	4,0	1717,8	22,1	5161,3	66,4	544,1	7,0
აჭარის ასსრ	536,0	1,6	0,3	14,5	2,7	80,4	15,0	385,9	72,0	53,6	10,0
ლაგოდეხის	3211,0	21,9	0,7	132,1	4,1	693,6	21,6	2064,8	64,3	298,6	9,3
სიღნაღის	930,0	1,9	0,2	14,0	1,5	133,6	14,4	678,2	72,9	102,3	11,0
წითელი წყაროს	136,0	0,3	0,2	2,0	1,5	20,4	15,0	95,6	70,3	17,7	13,0
ყვარლის	385,0	0,8	0,2	5,0	1,3	42,4	11,0	290,6	75,5	46,2	12,0
გურჯაანის	84,0	0,1	0,1	0,8	1,0	6,7	8,0	65,5	77,9	10,9	13,0
ბორჩალოს	1790,0	3,4	0,2	17,9	1,0	196,9	11,0	1265,8	70,7	306,0	17,1
ლიუქსემბურგის	424,0	0,4	0,1	2,5	0,6	33,9	8,0	314,5	74,2	72,7	17,1
ზუგდიდის	120,0	0'4	0,3	2,4	2,0	15,6	13,0	90,8	75,7	10,8	9,0
ჩოხატაურის	165,0	0,3	0'2	3,3	2,0	21,5	13,0	125,0	75,8	14,9	9,0
სულ საქართველოს სსრ-ში	15554,0	70,0	0,45	505,4	3.25	2962,8	19.05	10538,0	67,75	1477,8	9,5
აქედან აფხაზეთის ასსრ გამოკლებით	7781,0	31,1	0,4	194,5	2,5	1245,0	16,0	5376,7	69,1	933,7	12,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1939 წლის მოსავალის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადებისა ასორტიმენტის მიხედვით.

ავტ. რესპუბლ. და რაიონების დასახელება	თამბაქოს კონტრაქტ. და დამზადების გეგმა (ტონ.)	ა ქ ე დ ა ნ									
		1 ხარისხი		2 ხარისხი		3 ხარისხი		4 ხარისხი		5 ხარისხი	
		ტონ.	%	ტონ.	%	ტონ.	%	ტონ.	%	ტონ.	%
აფხაზეთის ასსრ	7773,0	38,9	0,5	310,9	4,0	1717,8	22,1	5161,3	66,4	544,1	7,0
აჭარის ასსრ	536,0	1,6	0,3	14,5	2,7	80,4	15,0	385,9	72,0	53,6	10,0
ლაგოდეხის	3211,0	21,9	0,7	132,1	4,1	693,6	21,6	2064,8	64,3	298,6	9,3
სიღნაღის	930,0	1,9	0,2	14,0	1,5	133,6	14,4	678,2	72,9	102,3	11,0
წითელი წყაროს	136,0	0,3	0,2	2,0	1,5	20,4	15,0	95,6	70,3	17,7	13,0
ყვარლის	385,0	0,8	0,2	5,0	1,3	42,4	11,0	290,6	75,5	46,2	12,0
გურჯაანის	84,0	0,1	0,1	0,8	1,0	6,7	8,0	65,5	77,9	10,9	13,0
ბორჩალოს	1790,0	3,4	0,2	17,9	1,0	196,9	11,0	1265,8	70,7	306,0	17,1
ლიუქსემბურგის	424,0	0,4	0,1	2,5	0,6	33,9	8,0	314,5	74,2	72,7	17,1
ზუგდიდის	120,0	0'4	0,3	2,4	2,0	15,6	13,0	90,8	75,7	10,8	9,0
ჩოხატაურის	165,0	0,3	0'2	3,3	2,0	21,5	13,0	125,0	75,8	14,9	9,0
სულ საქართველოს სსრ-ში	15554,0	70,0	0,45	505,4	3.25	2962,8	19.05	10538,0	67,75	1477,8	9,5
აქედან აფხაზეთის ასსრ გამოკლებით . . .	7781,0	31,1	0,4	194,5	2,5	1245,0	16,0	5376,7	69,1	933,7	12,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ ბ ა

საქართველოს სსრ-ში 1939 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტანტთა ფულადი ავანსებისა.

ავტონ. რესპუბლ. და რაიონების დასახელება	თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა (ტონ.)	აქედან		ერთ ტონა თამბაქოში ავანსის ოდენობა		ავანსის საერთო რაოდენობა (მან.)
		ტრაპიზონი (ტონ.)	სამსუნი (ტონ.)	ტრაპიზონი (მან.)	სამსუნი (მან.)	
აფხაზეთის ასსრ	7773	—	—	—	—	13.214.100
აჭარის ასსრ	536	224	312	980	1216	598.940
ლაგოდეხის	3211	3211	—	980	—	3.146.780
სიღნაღის	930	930	—	980	—	911.400
წითელი წყარო	136	136	—	980	—	133 280
ყვარელის	385	385	—	980	—	377.300
გურჯაანის	84	84	—	980	—	82.320
ბორჩალოს	1790	1790	—	980	—	1.754.200
ლიუქსემბურგის	424	424	—	980	—	415.520
ზუგდიდის	120	—	120	—	1216	145.920
ჩოხატაურის	165	—	165	—	1216	200 640
სულ საქართ. სსრ-ში	15554	—	—	—	—	20 980.400
აქედან აფხაზეთის ასსრ გამოკლებით	7784	7186	597	980	1216	7.766.300

შენიშვნა: 800 ჰექტ. სარგავი ფართობიდან აჭარის ასსრ-ში — 465 ჰექტ. სამსუნი და 335 ჰექტ. ტრაპიზონი.
200 „ „ „ ზუგდიდის რაიონში — სულ სამსუნი.
300 „ „ „ ჩოხატაურის რაიონში — სულ სამსუნი.

РУСТ 33,35
Б,КЕ ИМЭЛ
СБ ГР

Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტი“-ს პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 28

მთავლ. რწმ. № ლ-408 შეკვ. № 685 ტირაჟი 2000